

# ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის

2013 წლის ანგარიში



შინაარსი

შესავალი .....2

1. დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობის განვითარება.....3

2. მოხელეთა სწავლება .....5

3. ორგანიზაციული განვითარება.....10

4. ფინანსური ანგარიში.....12

## შესავალი

სსიპ - ვანო ხუხუნიაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დებულებით განსაზღვრულია მისი ძირითადი ფუნქციები: გაუწიოს სამინისტროს საინფორმაციო და საექსპერტო მხარდაჭერა მმართველობის სისტემის შემდგომი დეცენტრალიზაციისა და დეკონცენტრაციის მიმართულებით გასატარებელი რეფორმის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობით; იზრუნოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული ხელისუფლების ადამიანური რესურსების განვითარებაზე, საჯარო მოხელეთა სწავლების სტაბილური და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების მეშვეობით.

2013 წელს ცენტრის მიერ ორივე ამ მიმართულებით განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები.

ცენტრი აქტიურად იყო ჩართული დეცენტრალიზაციის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებში, მათ შორის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ პროექტის შემუშავებაში.

რაც შეეხება სწავლების კომპონენტს ცენტრმა უზრუნველყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორის ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მოხელეთა 2013 წლის ტრენინგების ორგანიზება; ასევე, კომპლექსური საჭიროებათა კვლევის საფუძველზე შეიმუშავა და დაწესებულებებში დააგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორის ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მოხელეთა 2014 წლის ტრენინგ გეგმა;

2013 წლის მეორე ნახევრიდან ცენტრმა გაეროს განვითარების პროგრამის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტთან თანამშრომლობით, დაიწყო აქტიური მუშაობა ადგილობრივი თვითმმართველობების ადამიანური რესურსების გაძლიერების კონცეფციის პროექტზე.

## 1. დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობის განვითარება

### *ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მომზადება და განხორციელება*

2013 წლის განმავლობაში ცენტრი ჩართული იყო საქართველოს მთავრობის პირველი მარტის N223 განკარგულებით („საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის“) განსაზღვრულ დონისძიებებში, რომლებიც უკავშირდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მომზადებას და განხორციელებას.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დავალებით, ცენტრი ჩართული იყო საქართველოს ორგანული კანონის პროექტის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტების შემუშავებაში.

კანონპროექტზე მუშაობისას, შესწავლილ იქნა საფინანსო-საბიუჯეტო მონაცემები ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიზნობრივი დაფინანსების შესახებ (ბოლო 5 წელი), ასევე ფისკალურ დეცენტრალიზაციასთან და მუნიციპალური მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. მოძიებულ იქნა ინფორმაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში მერების და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევითობის, აგრეთვე პირდაპირი წესით არჩეული თანამდებობის პირების გადაყენების სამართლებრივი მექანიზმების შესახებ.

ცენტრი მონაწილეობას იღებდა მოსახლეობასთან და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ორგანიზებით გამართულ საინფორმაციო და საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრებში. აღნიშნული შეხვედრები ეხებოდა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის და მოსახლეობისათვის ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს.

### *ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებული სამუშაო, საინფორმაციო და სასწავლო ვიზიტები*

საქართველოში მიმდინარე ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით, ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის პრეზიდენტთან და ევროპის საბჭოს თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტებთან ქალაქ სტრასბურგში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ცენტრის დირექტორმა. იგი მონაწილეობას იღებდა, აგრეთვე, ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებისა და ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს ორგანიზებით გამართულ კონფერენციაში „დეცენტრალიზაციის გზაჯვარედინზე“.

ცენტრი აგრეთვე მონაწილეობდა ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში „საჯარო მმართველობის რეფორმა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე“, სადაც განხილულ იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სფეროში. კონფერენციის ფარგლებში, ცენტრის წარმომადგენელმა მონაწილეებს გააცნო საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ძირითადი მიმართულებები და რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებული გამოწვევები.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა ცენტრის თანამშრომელთა საინფორმაციო ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ფისკალური დეცენტრალიზაციისა და მომსახურების მიწოდების სტანდარტებზე მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ცენტრის თანამშრომლებმა გაიზიარეს პოლონეთის რესპუბლიკის გამოცდილება თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიწვევით ისინი ჩართულნი იყვნენ სწავლებაში თემაზე „თვითმმართველობის სისტემის რეფორმა საქართველოში“, რომელსაც „აღმოსავლეთ პარტნიორობის საჯარო ადმინისტრირების აკადემიის“ (AAPPW) პროგრამის ფარგლებში ახორციელებს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საჯარო ადმინისტრირების სკოლასთან ერთად, ასევე მონაწილეობდნენ პოლონეთის რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ, „პოლონეთის 2013 წლის დახმარების“ პროგრამის ეგიდით ორგანიზებულ ტრენინგში - „საქართველოში სახელმწიფო მმართველობის შესაძლებლობების გაძლიერება“.





## 2. მოხელეთა სწავლება

### *2013 წელს ჩატარებული ტრენინგები*

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბარნატორების ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2013 წლის გეგმის შემუშავების მიზნით, განახორციელდა დაწესებულებების მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების დიაგნოსტიკა, რის საფუძველზეც მომზადდა მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგი ხუთი სასწავლო პროგრამა (მოდული):

1. საკონსტიტუციო და თვითმმართველობის საფუძვლები, საჯარო სამსახური და ადმინისტრაციული წარმოება;
2. ადამიანური რესურსების მართვა;
3. თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი;
4. თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვა და განკარგვა;
5. მუნიციპალური შესყიდვები.



2013 წლის ტრენინგი

ქ.ქუთაისი 2013წ.

შემუშავებული მოდულების მიხედვით, გაეროს განვითარების პროგრამის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტთან თანამშრომლობით, 2013 წლის ივნისი - ივლისის თვეებში ჩატარდა ტრენინგების გეგმით გათვალისწინებული კვალიფიკაციის ამაღლების სწავლება შესაბამისი დაწესებულებების მოხელეთათვის. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 412 მოხელემ.

ცენტრის მიერ 2013 წლის ოქტომბერ - დეკემბერში, დამატებით ჩატარდა, არაგემიური ტრენინგები ადგილობრივი თვითმმართველობის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოხელეთათვის თემებზე: „ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაცია და კონკურსის ორგანიზაცია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად“, „საპროექტო წინადადების მომზადება“, „საჯარო პოლიტიკის ანალიზი“ და „პროექტების მართვა“. არაგემიურ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 336 მოხელემ.

ჩატარებული ტრენინგების ხარისხის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ცენტრმა განახორციელა ტრენინგების ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება. ტრენინგები შეფასდა დადებითად, რიგ შემთხვევებში მათი შეფასების მაჩვენებლის ზრდა 30-50%-საც კი აღწევდა. მოხელეებს, რომელთაც წარმატებით დაძლიეს სასწავლო კურსები, გადაეცათ სერტიფიკატები.



არაგემიური ტრენინგი „პროექტის მართვა“

ქ.ქობულეთი 2013წ.

*მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2014 წლის საჭიროებათა განსაზღვრა*

ცენტრმა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბარნატორების ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის შედგენის მიზნით, 2013 წლის სექტემბერ - ნოემბერში, გაეროს განვითარების პროგრამის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტთან ერთად, უზრუნველყო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების კვლევის პროცესის კოორდინაცია.

აღნიშნული კოორდინაციის პროცესი მოიცავდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების საჭიროებების დადგენას, პრიორიტეტების განსაზღვრას, მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი ფოკუს-ჯგუფების ჩატარებას, მეთოდოლოგიური მასალის - საჭიროებათა კვლევის კითხვარების შემუშავებას, რომელიც გაეგზავნა ყველა (69) მუნიციპალიტეტის გამგეობასა და თვითმმართველი ქალაქის მერიას.



ფოკუს ჯგუფის შეხვედრა

სოფ.კაჭრეთი 2013წ.

*მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2014 წლის გეგმა*

2014 წლის ტრენინგების გეგმის მომზადების მიზნით მოხდა საჭიროებათა კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, რომელმაც გამოავლინა სწავლების 50-ზე მეტი ძირითადი თემის საჭიროება, რომელთაგანაც შეირჩა სწავლების პრიორიტეტული მიმართულებები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. მოცემულ ტრენინგზე ჯამური მოთხოვნის მოცულობა;
2. მინისტრის მოადგილეებთან ინტერვიუებისა და სამინისტროს წარმომადგენელთა ფოკუს - ჯგუფთან შეხვედრის საფუძველზე გამოკვეთილი თვითმმართველობების მოხელეთა სწავლების საჭიროებები;
3. ტრენინგების მიზნები და გრძელვადიანი შედეგები;
4. ტრენინგები დღეისათვის აქტუალური სწავლების თემების - ევროინტეგრაციისა და თვითმმართველობის რეფორმის საკითხების ირგვლივ;

აქედან გამომდინარე, შემუშავდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების ადმინისტრაციებისა და თვითმმართველი ერთეულების საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2014 წლის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია 1000-ზე მეტი მოხელის სწავლება 25 სხვადასხვა თემატიკის ტრენინგ-მოდულის მიხედვით.

ცენტრის დირექტორმა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, დაამტკიცა 2014 წლის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა, რომელიც 2013 წლის ნოემბრის თვეში დაეგზავნა შესაბამის დაწესებულებებს.

*ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სწავლების კონცეფცია*

2013 წლის მეორე ნახევრიდან ცენტრი, გაეროს განვითარების პროგრამის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის მხარდაჭერით მუშაობს „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სწავლების კონცეფციაზე“. კონცეფციის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, თვითმმართველობის მოხელეთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მდგრადი სისტემის შექმნა.

კონცეფციის შემუშავების პროცესში ჩატარდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნების საჯარო მოხელეთა ტრენინგებისა და გადამზადების სისტემების, მათ შორის შესაბამისი კანონმდებლობების კვლევა; მოხდა საქართველოში მოქმედი უწყვეტი პროფესიული განვითარების სხვადასხვა სისტემის ფუნქციონირების გამოცდილების შესწავლა. ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან არსებული მრჩველთა საბჭოს შესაბამის სამუშაო ჯგუფთან, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, სფეროთი დაინტერესებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სფეროს ექსპერტებთან.





უნგრეთის საჯარო ადმინისტრირებისა და იუსტიციის სამინისტრო.

ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სასწავლო ვიზიტში, გაეცნენ უნგრეთსა და ჩეხეთში მოქმედ საჯარო მოხელეთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემებს, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. ჩატარდა შეხვედრები უნგრეთის საჯარო ადმინისტრირებისა და იუსტიციის სამინისტროში, უნგრეთის საჯარო სამსახურის ეროვნულ უნივერსიტეტში, ჩეხეთის საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტში და საჯარო ადმინისტრირების სასწავლო ცენტრში, ასევე ბუდაორშისა და მილევსკოს მუნიციპალიტეტებში.

კონცეფციის პროექტზე მუშაობის დასრულება 2014 წლის პირველ ნახევარში იგეგმება.

### 3. ორგანიზაციული განვითარება

#### *ორგანიზაციული განვითარების ძირითადი მიმართულებები*

ცენტრის ფუნქციების სრულყოფილი და ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, 2013 წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა ცენტრის ორგანიზაციული განვითარების ღონისძიებები, რომლებიც მოიცავდა როგორც ადამიანური რესურსების განვითარების კომპონენტს, ასევე საქმისწარმოების გაუმჯობესების და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა ვალდებულებების ეფექტიანი და დროული შესრულების ადმინისტრირების საკითხებს.

ცენტრის ორგანიზაციული განვითარების კონკრეტულ ნაბიჯებს წინ უსწრებდა მისი ფუნქციებისა, მიმდინარე გამოწვევების, ასევე კანონმდებლობის საფუძველზე შესასრულებელი ვალდებულებების ანალიზი, რის მიხედვითაც შემუშავებულ იქნა 2013 წლის ორგანიზაციული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს და ღონისძიებებს:

1. ცენტრის ფუნქციების ანალიზი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის, რეგიონული განვითარების, მოხელეთა სწავლების და კანონმდებლობით მინიჭებული სხვა კომპეტენციების ჭრილში;

2. ცენტრის თანამშრომლების სამუშაოთა აღწერილობების დასაკვალიფიკაციო მოთხოვნების მისადაგება ცენტრის დებულებით განსაზღვრულ ფუნქციებთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან; მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის შექმნა;

3. ვაკანტურ თანამდებობებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვა კონკურსების გზით;

4. ცენტრის ფუნქციებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ვებ-გვერდის შექმნა, ეფექტური ადმინისტრირების უზრუნველყოფა;

5. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვა;

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სწავლების და რეგიონული განვითარების ორგანიზაციული და საექსპერტო მხარდაჭერის მიზნით, ცენტრმა მოიზიდა შესაბამისი სფეროს ექსპერტები, რომლებთანაც სათანადო სამუშაოს შესრულების ვადით დაიდო შრომითი ხელშეკრულებები. ცენტრის თანამშრომლები და მოწვეული ექსპერტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

საანგარიშო პერიოდში ცენტრი ჩართული იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2014-2017 წლების სტრატეგიის შემუშავებაში, ასევე ინფორმაციული უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში.

#### *თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება*

ცენტრის ფუნქციური ანალიზის საფუძველზე, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მომზადებული მეთოდოლოგიური ხასიათის რეკომენდაციების გამოყენებით, 2013 წლის სექტემბერში მომზადდა და დამტკიცდა თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილება და გამიჯვნა მოხდა ცენტრში არსებული საშტატო რიცხოვნობის პროპორციულად, მაქსიმალურად იქნა აცილებული გადაფარვების ან შემსრულებლის გარეშე დარჩენილი ფუნქციების არსებობის შესაძლებლობა.

#### *კონკურსების ორგანიზება*

2013 წლის ოქტომბრის თვეში დამტკიცდა ცენტრის საკონკურსო-საატესტაციო და საპრეტენზიო კომისიების შემადგენლობები. ნოემბრის თვეში ჩატარდა ორეტაპიანი კონკურსი ცენტრის დირექტორის მოადგილის და ცენტრის სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად. პირველ ეტაპზე მოხდა კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა კონკურსის ფორმალური მოთხოვნების გათვალისწინებით. მეორე ეტაპი ჩატარდა გასაუბრების ფორმით. კონკურსის შედეგად ორივე ვაკანტურ თანამდებობაზე დაინიშნენ კონკურსში გამარჯვებული პირები.

#### *ახალი ვებ-გვერდი*

2013 წელს დაიწყო და დასრულდა ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის ([www.lsg.gov.ge](http://www.lsg.gov.ge)) შექმნის პროცესი. ახალი ვებ-გვერდის შინაარსობრივი ველებისა და დიზაინის შექმნისას პრიორიტეტებად განისაზღვრავდნენ ცენტრის ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულფასოვნად განთავსების შესაძლებლობა, გამჭვირვალობა, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობაში არსებული მოთხოვნების სრული მოცულობით ასახვის უზრუნველყოფა; ვებ-გვერდის მომხმარებლებისთვის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის შესაძლებლობა.

#### *ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე*

მომზადდა და 2013 წლის 10 დეკემბერს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ცენტრის ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ანგარიში შედგა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ფორმით და გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

*ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვა*

2013 წელს დაიგეგმა მომდევნო წლიდან ცენტრის ელექტრონულ დოკუმენტბრუნვაზე გადასვლა, ასევე დაიწყო მუშაობა ცენტრის ელექტრონული საქმისწარმოების წესის შემუშავებაზე.

#### 4. ფინანსური ანგარიში

2013 წლისათვის ცენტრის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები განისაზღვრა 250000-00 ლარის ოდენობით. სამინისტროსთან შეთანხმდა ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა საშტატო განრიგი 9 ერთეულით.

ცენტრისმიერ 2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან გაწეულმა ხარჯებმა სულ შეადგინა 237784 - 07ლარი, მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება - 178862,93 ლარი;
2. საქონელი და მომსახურება - 51612,76 ლარი;
3. სოციალური უზრუნველყოფა - 1390,38 ლარი;
4. სხვა ხარჯები - 1192,00 ლარი;
5. არაფინანსური აქტივები - 4726,00 ლარი.